

საკრთველი



იმისთანა წმინდა საძეგლი, ღმერთის ბრძანებით დაწესდა, ცხელით და ჭიბრით ბრძანის გაცანა ყულა უკრბისბაგე უსაბაგლესი.

ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

საკრთველი

ხუთშაბათი, 2 მაისი. 2024 წ. №53 (9733) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

საკრთველი მუდამ იყო, არის და იქნება ევროპა!

ფრილუხ კარინტი:


უქამთ მთსულა



**ოქტომბრის არჩევნებში
ბამარჯვების შემდეგ
„ოცნება“ ნაცებს
პირფინდელ მოაშთოვს!**



ბარდიაკონი ბრიგოლ რუსაძე



მთავრობის პრინციპული მოქმედების მნიშვნელობა

სნოგილი
რეპროდუქტოლოგები
მოსატაურში



არჩილ სომასურიძე არის
ის ალაშიანი, რომლის
თავდაუზოგავი უროვის
შედეგად ამოიძირკვა
სამართალში აპორტების
მანქანი პრაქტიკა


SOS! ჰაკერთა შენტაქი

Anonymous: ქართველი პოლიტიკალო: აქსიის მონაწილეებზე
თავდასხმა გამოიწვევს თქვენი მთავრობის ოფიციალური პირების
შესახებ ინფორმაციის გავრცელებას

მსოფლიოს უდიდესი ჰაკერული დაჯგუფება Anonymous-ი თბილისში, „რუსული კანონის“ სანაღმდეგო საპროტესტო აქციას ეხმარება და აცხადებს, რომ მშვიდობიან მომიტინგეებზე თავდასხმა საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ პირებზე ინფორმაციის გამოაშკარავებას გამოიწვევს!
– საქართველოში აქციის მონაწილეებო, თქვენი თხოვნა შევისმინეთ. თქვენ მართლ არ ხართ, Anonymous-ის წევრები თქვენთან ერთად არიან და დაგეხმარებიან, დამოუკიდებლობისთვის, მშვიდობისა და

კეთილდღეობისთვის ბრძოლაში!
ეს არის თქვენი პირველი და უკანასკნელი გაფრთხილება.
რაც შეეხება „ოცნების პარტიას“, რომელსაც ზურგს რუსეთი უმაგრებს, დაიმასხოვრეთ, საქართველო არ არის რუსეთი და არც არასდროს იქნება!
დაგველოდეთ!
Anonymous სრულად დეცენტრალიზებულია და მსოფლიოს მასშტაბით ათასობით ჰაკერს, აქტივისტსა და ჟურნალისტს აერთიანებს.

ლეგენდები არ
კვდებიან...




ომარ მხეიძე
1935-2023

მნების კვირის უზენაესი უბოროტანი

მთავრობის პრინციპული მოქმედების მნიშვნელობა

მარტო ლოკია. დასავლელ ჩინოვნიკებს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების მხარდაჭერისა და პროტესტების დამშვიდების სურვილი რომ ჰქონდეთ, ისინი აუცილებლად შეცვლიდნენ ნამქმრებელ რიტორიკას და, მოუხედავად სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში უსამართლოდ ჩარევისა, ბოლოს და ბოლოს, კონკრეტულ მიზეზს მაინც დაასახელებდნენ, თუ რატომ არის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი შეუთავსებელი ევროკავშირის ღირებულებებთან. ისინი ერთადერთ მიზეზად ყოველგვარი განმარტებისა და ლოკიური დასაბუთების გარეშე მიიჩნევენ იმას, რომ კანონპროექტი კრემლის შთავაზნით არის შედგენილი და ამიტომ იგი რუსულია. გასაგებია, რომ დასავლეთმა ეს რუსოფობიური და უსაფუძვლო არგუმენტი ლოზუნგად აქცია და მას ახალგაზრდების ზომიერებისთვის წარმატებით იყენებს, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება რიტორიკული კითხვა: თუ ევროკავშირის ქვეყნები რუსეთისგან მილიონობით ტონა მარცვლეულს, ვაზსა და ნავთობს ყიდულობს, საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადებული კანონპროექტი მართლ იმით, რომ „რუსულია“, რატომ არის დასავლეთისთვის მიუღებელი?!



„არა რუსულ კანონს“ შექმნა არა მარტო რუსებისადმი სიძულვილი, არამედ რუსეთის მიმართ შიშაც უკარნახა. თვით ტერმინიც „რუსოფობია“ ხომ ორივე ასპექტს მოიცავს – შიშსა და სიძულვილსაც. რა სახის შიშზე ვსაუბრობთ, ესეც თავისთავად განმარტებას საჭიროებს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ერთი საყურადღებო აზრი გამოთქვა: „**არა გავაბრუნებთ სააკაშვილი და მივიღებთ სტაშუსი. ამ კანონზე გვეუბნებიან, რომ არის სუდი. ჩვენ გავითვალისწინებთ სიამაღეს და გაიხსენება მოლაპარაკებები. ჩვენ რომ გოლორძე გავითვალისწინებთ, ამიტომ მოგვინება კანდიდატის სტაშუსი!**“ – აქედან კარგად ჩანს მთავრობის პრინციპულად მოქმედების მნიშვნელობა, რაც ჩვენს სახელმწიფოს მტრ დამოუკიდებლობას სძენს და საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობის თავისუფლად წარმართვისთვის ძალას მატებს.

საბოლოოდ, სუვერენიტეტის განმტკიცება ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას, იზრუნოს მთავარ სატყვეარზე და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად რეალური პოლიტიკა აწარმოოს. ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარება კი მოლაპარაკებით იწყება, რასაც ჩვენი დიპლომატია დღესდღეობით მოკლებულია. თუ საქართველოს ხელისუფლებამ პრობლემის გადასაჭრელად, ჯერ რუსეთთან, შემდეგ კი აფხაზეთთან და ოსეთთან ერთად, სამშვიდობო მოლაპარაკების მაგილასთან დადგომა მართლაც შეძლო, შესაძლოა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბოს და, აი, მაშინ ნახეთ ვიპოვი დასავლეთისა, რომელიც დღეს რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენებითაც კი აღმოფხვრულია.

ამჟამად, ხელოვნურად შექმნილი სიტუაციიდან ჩანს, რომ დასავლეთს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებებისა და მორჩილი ნეოფაშისტების სათავეში დაბრუნების წყურვილი მეტად გაუმძაფრდა, ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ნაცური მედიასაშუალებების „თავისუფლების კენჭელები“ თანდათან იძირება, ანუ უცხოელ შეგომონებს ჩვენი ქვეყნის მართვის სადავეები და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ბერკეტები ხელიდან ეცლება.

სამშრომლო დირსაულო ნი-ნამგროლო, დიკით მტყვიდ და გუარყვალა! ქართული ერთი ქვეყანა ერთად დგას და, რაც მთავარია, ჩვენთან არს ღმერთი!

გარდაიკონი ბრიგოლ რუხაძე



კახა კალაძე:

მთავრობის კლიერი სახელმწიფოები სჭირდებათ!

თბილისის მთავრობის გუშინ-დელი სხდომა თბილისის მერმა და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ პოლიტიკური განცხადებასთან დაკავშირებით გააკეთეს. მს გუშინდელი, როცა ქვეყნის დედაქალაქის მთავრობის ხელმძღვანელი აქცია მიმდინარეობს და ფიზიკური და-პირისპირება აქცის მონაწილეთა და საგარეო დამცავთა შორის.

– უცხოური გავლენა უნდა შემცირდეს ჩვენს ქვეყანაში და გაიზარდოს ჩვენი ხალხის გავლენა, მხოლოდ ღირსებით თუ მიგვიღებენ ევროკავშირში და გავხდებით ევროპის ღირსეული წევრები. არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენი მიზანია ევროინტეგრაცია, ევროპული მომავალი, მაგრამ ეს ყველაფერი გვინდა გავაკეთოთ ღირსებით, სუვერენიტეტის დაცვით, ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით და უცხოური გავლენის შემცირებით. ჩვენ ასეთ

საქართველოს გვხვდავთ, ასე წარმოვიდგინა ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, განვითარება, ძლიერი ეკონომიკა, ძლიერი სუვერენიტეტი, გამყარებული სახელმწიფოებრიობა, სხვანაირად შეუძლებელია, იყო ღირსეული წევრი იმ ოჯახის, რომელსაც ევროპა ჰქვია. იქაც ღირსეულები, ძლიერი სახელმწიფოები სჭირდებათ.

კახი კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომიდან მიმართა ოპოზიციას: არც ქვეყნის გარედან და არც შიგნით რადიკალურ დაჯგუფებებსა და ძალებს არ მოგვცემთ იმისი საშუალო-

მა და შესაძლებლობა, რომ ქვეყანაში არეულობა შემოიტანოთ. ყოველთვის დავდგებით მონოპოლის სიმაღლეზე, დავიცავთ ჩვენს ქვეყანას, ხალხს და ქვეყნის ეროვნულ ინტერესს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დავიცვათ ჩვენი სახელმწიფო, სამშობლო და არავის მივცემთ იმის უფლებას და შესაძლებლობას, რომ ქვეყანაში ხალხი ერთმანეთს დააპირისპიროს, შემოიტანოს არეულობა, რეველუცია და ა.შ. დღეს საზოგადოება განვითარებულია და თუ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების შეცვლის სურვილი აქვს, ეს უნდა მოხდეს არჩევნების გზით და არა რევოლუციებით და გადატრიალებით.

კახა კალაძე 1 მაისის დამსჯ პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებსაც შეეხო და თითოეულ პოლიციელს, პინაგან საქმეთა სამინისტროს, მინისტრს ვახტანგ გომეზაურს წესრიგის აღდგენისთვის მადლობა გადაუხადა.

მუქარა და უანბაჟი არ არის მებობრობა!



საზოგადოება „ქართულის“ საბანგებო მიმართვა ამერიკელ სენატორებს

„გვსურს, გამოვხატოთ აგრესიული სენატორების გოლო განცხადებას, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ჩვენ, ქართველებმა ვიცით მეგობრობის და პარტნიორობის ფასი. შესაბამისად, დიდად ვაფასებთ აშშ-ის მრავალწლიან მხარდაჭერას და არაღიარების პოლიტიკას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით, ასევე საქართველოს თავდაცვის ძალების, ეკონომიკის და სხვადასხვა სფეროს განვითარებაში

ამერიკის მრავალწლიან ძალისხმევას და თანადგომას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, როგორც სტრატეგიული და თანამართლებიანი პარტნიორი და მეგობარი, ასევე ათწლეულებია აშშ-ის გვერდით იდგა და დგას ტერიტორიის თუ სხვადასხვა საერთაშორისო უსაფრთხოების ამოცანებისა და გამოწვევების დაძლევაში (ერაყი, ავღანეთი). ასევე, გლობალურ დიპლომატიურ სარბიელზე, საქართველო ყოველთვის იყო აშშ-ის ინტერესების მხარდამჭერი და გამზარებელი. შესაბამისად, საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობა თანამართლებიანი და თანასწორ პარტნიორულ ურთიერთობას უნდა ეფუძნებოდეს და არა ვასალომის პრინციპებს. ჩვენს წუხილს იწვევს თქვენი განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს მკვეთრად ემოციური და არადიპლომატიური ტონით,

გავლენა მოახდინოს საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე. მართალია, საქართველო ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოა, თუმცა ერის უწყვეტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით, ქართველი ერთი ერთ-ერთი უძველესი ენია მსოფლიოში, რომელიც მუდმივად იზრდოდა და იმარჯვებდა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის ბრძოლაში. ასე იქნება მომავალშიც. ჩვენ კარგად გვცნობს და ვიზრებთ, რომ მრავალი თაობის ბრძოლისა და თავგანწირვის შემდეგ მოპოვებული ჩვენი სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა და ერის სუვერენული უფლება, თავად ვმართოთ ჩვენი მელი, დათმობას და გადახედვას არ ექვემდებარება. ჩვენ მივცხადებთ აშშ-სა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას და პარტნიორობის

ახალ ეტაპზე ასვლას. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანად მიგვანია, განიხილოთ საქართველოს ხელისუფლების ინიციატივები უვიზო მიმოსვლის, პირდაპირი ფრენების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რაც სიკეთეს მოუტანს ქართველ და ამერიკელ ხალხს. შექარა და შანტაჟი არ არის მეგობრებს შორის ურთიერთობის ჯანსაღი ფორმა. დამოუკიდებლობის 35 წლისთავზე ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ გადის განვითარების მნიშვნელოვან გზას, თუმცა ყოველთვის აქვს მზაობა, იბრძოლოს დამოუკიდებლობის კიდევ უფრო განმტკიცებისთვის. მიგვანია, რომ როგორც აშშ-ს, ასევე საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აქვს სრული ლეგიტიმური უფლება, იცოდეს ვინ და რისთვის ხარჯავს ფულს ჩვენ ქვეყანაში. ასევე, საკანონმდებლო, თუ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავად განსაზღვროს, რა კანონი, ან გადაწყვეტილება სჭირდება ქვეყანას ამა თუ იმ მოცემულობაში. არავის აქვს უფლება, გვიკარნახოს პოლიტიკური დღის წესრიგი. ამიტომ მოვინდობთ, თავი შეიკავოთ ჩვენს სახელმწიფოებს შორის არსებულ ურთიერთობებთან უკიდურესად შეუსაბამო განცხადებებისაგან და ერთად ვიზრუნოთ სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში აღებული, ურთიერთგულდობრეულების შესრულებაზე, რაც მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს გავაღრმავოთ ჩვენს ხალხებს შორის თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა“...

სიციხვილი და სიციხანოვი

ნიკო ჯავახიშვილი ამბობს, რომ ერეკლე მეორეს სამი ცოლისგან 28 შვილი ჰყავდა, გიორგი მეთორმეტეს ორი ქორწინებიდან - 23. მართალია, იმ დროისთვის ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ტახტის პრეტენდენტი საკუთარსზე მეტი რჩებოდა.

პროტესტი კარგა ხანი არ წყდებოდა. აჯანყებებს ხშირად ბატონიშვილები ედგნენ სათავეში. ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე ამბობს, რომ ამის გამო ალექსანდრე პირველმა გენერალ პაველ ციციანოვს, რომელიც გარუსებულ ქართველი იყო, ტახტის მემკვიდრეების თავიდან მოშორება დაავალა.

„ციციანოვი ალექსანდრე პირველს წერდა, ეს ასპიტების მოღვათა თუ არ მოვიშორეთ, ისე ვითარება არ ჩანს წყნარდებაო. სწორედ მან დაიწყო გადასახლებების სერია. არა მხოლოდ ქართლ-კახეთის, იმერელი ბატონიშვილებიც გადასახლეს. ერთადერთი, ვინც თავს უშველა და ირანში გაიქცა, ალექსანდრე იყო, ერეკლე მეორის ვაჟი, - ამბობს დიმიტრი შველიძე, - გადასახლეს დარეჯან დედოფალიც, ერეკლე მეორის მეუღლე. ის იმპერატორს წერდა, ერთი მოხუცი ქალი ვარ, დამტოვეო, მაგრამ... გადასახლებისას თბილისიდან გასული, სოფლებში რომ ჩერდებოდნენ, ავადმყოფობას იმიზეზებდა, რომ წასვლის პროცესი გაეჯანჯლებინა“.

გიორგი მეთორმეტის მეუღლეს მარიამ ციციშვილს რამდენჯერმე შეუთვალეს, საქართველოდან წასულიყო. დედოფალი უარზე იყო. 1803 წლის 19 აპრილს გენერალი პაველ ლაზარევი მას სასახლეში მიაღწა.

„აქაც სხვადასხვა ცნობებია. ერთი ვერსიით, დედოფალი საწოლზე იჯდა და ბავშვებს, ჯიბრაულ და თამარ ბატონიშვილებს უვლიდა. მეორე ცნობით, იწვა. ძალიან ადრე, დილის 6-7 საათი იყო. ხელი რომ მოკიდა ლაზარევი და წამოყენება სცადა, დედოფალმა შეურაცხყოფა ვერ მოითმინა და გენერალს ხანჯალი ჩასცა. საბნის ქვეშ ან ტანსაცმელში ჰქონდა დამალული. გენერალი კარებამდე მივიდა, იქ ჩაიკეცა და მოკვდა. მეორე ვერსიით, ოთახში ასევე იმყოფებოდა ან მერე შევიდა თავადი ნიკოლოზ ხიმშიაშვილი და გენერალიც სწორედ მან მოკლა, რის შემდეგაც აიგინიდან გადახტა და ახალციხეში გაიქცა. ისტორიული წყაროებში უფრო პირველ ვერსიას

1803 წლის 19 აპრილს თბილისში, დარეჯანის სასახლეში, საქართველოს უკანასკნელმა დედოფალმა მარიამმა საძინებელში შეპარდნილ რუს გენერალს ხანჯალი ჩაარტყა და ადგილზევე გაათავა. ორიოდე წლით ადრე მეფის რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და მეფის ოჯახის წევრების გადასახლებას იმყოფებოდა, ქართველებს მხოლოდ ერთი მონაკი უნდა ჰყოლოდათ - რუსეთის იმპერატორი.

ქართლ-კახეთის ბოლო მეფე გიორგი მეთორმეტი 1800 წელს 53 წლისა გარდაიცვალა, მეფე ავადმყოფობდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში. გაგრატიონების მემკვიდრე ულატონ იოსელიანი წერს, რომ ბოლოს ავანობის კი ტახტზე მისვლა იმყოფებოდა.

ბრიგოლ I - საქართველოს უკანასკნელი მეფე

როგორ ასახლავდნენ რუსეთში ქართველ უფლისწულებს



დედოფალმა უკანასკნელმა მარიამმა მოითმინა და ბუნებრივ ღატარაობას ხანჯალი ჩასცა

„ემბრობიან“, - ამბობს დიმიტრი შველიძე. მარიამ ციციშვილი მაინც გადასახლეს, რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში ცხოვრობდა. დასაჯეს თუ არა ლაზარევის მკვლელობისთვის, ეს უკვე ცნობილი არ არის. მოგვიანებით ის იმპერატორმა შეინყა და ნება დართო ქალაქში ეცხოვრა. გარდაცვალების შემდეგ დედოფლის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და მეუღლის გვერდით სვეტიცხოველში დაკრძალეს.

ნიკო ჯავახიშვილი წერს, რომ გაცილებით ადრე, 1806 წელს ბაქოს აღებისას ლაღობით მოკლეს გენერალი ციციანოვი. მისი თავი კი აზერბაიჯანის ბეგლარბეგს აბას-მირზას გაუგზავნეს.

დავითი. როგორც მეფე უნდა გახდარიყო

მაქსიმე „მეფე მოკვდა, გაუმარტოს მეფეს“ საქართველოს შემთხვევაში არ გამართლდა. გიორგი მეთორმეტის სიკვდილის შემდეგ, ქართლ-კახეთის ტახტზე, წესით, მისი უფროსი შვილი დავითი უნდა ასულიყო.

„დედაქალაქის საზოგადოება შეიკრიბა და შესთავაზა კიდევ მეფობა, თუმცა მან ვერ გაზედა. ის რომ მაშინვე ეკურთხებინათ მეფედ, რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება უფრო გაუჭირდებოდა და ეს პროცესი დროში გაინელეზებოდა, - ამბობს დიმიტრი შველიძე, - დავითი გა-



ნათლებული ახალგაზრდა იყო, ფრანგი განმანათლებლის მოტივით. პლატონ იოსელიანი იხსენებს, რომ კაბინეტში ვოლტერის სურათი ეკიდა, რომელიც ერთხელ გიორგი მეთორმეტემ ჩამოუგდო და ფეხით გაუთელა. მეფეს ვოლტერი მწვანე ლეზად მიაჩნდა“.

დავითი, სხვა ბატონიშვილების მსგავსად, რუსეთში გადასახლეს. გადასახლებულები უცხო მიწაზე ცუდად არ ცხოვრობდნენ. მათ სათანადო პატივით ეპყრობოდნენ, ჰქონდათ ხელფასები და პენსიები, სასახლეები, მსახურებიც ჰყავდათ. ბევრი სამხედრო სამსახურში შევიდა და გენერალიც გახდა. ერთადერთი აკრძალვა ჰქონდათ - სამშობლოში დაბრუნება არ შეეძლოთ.

ნიკო ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ სინამდვილეში საქართველოს ბოლო მეფე სწორედ გრიგოლ პირველია და არა გიორგი მეთორმეტე, რადგან აჯანყებულებმა ის მეფედ აღიარეს. ფილიპ ჰაულინი, რომელიც რუსეთის იმპერატორმა 1811 წელს საქართველოს „მთავარსარდლად“ დანიშნა, რუსეთის სახელმწიფო სამჭოსა და მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ნიკოლოზ რუმიანცევს წერს, კახელებმა გრიგორი მეფედ გამოაცხადეს.

„ლეგიტიმიზმის კანონებიდან გამომდინარე, გრიგოლი ისედაც იყო ტახტის მემკვიდრე. ამ დროს უფლისწული დავითი გადასახლებებშია, დავითს შვილი არ ჰყავს. რიგით მეორე მემკვიდრე იოანე ბატონიშვილიც გადასახლებულია და გრიგოლი კი მისი ერთადერთი ვაჟია.“

ის ორ კვირაზე მეტი მეფობდა. თბილისზეც აპირებდა თავდასხმას, მაგრამ ამასობაში რუსებს მამველი ძალა ჩამოუვიდათ. ერთი დღეც რომ ყოფილიყო, მაინც კანონიერი მეფეა“, - ამბობს ნიკო ჯავახიშვილი.

საბოლოოდ გრიგოლი რუსეთში მიიწვი და დაასახლეს. თბილისიდან მგზავრობაში გრიგოლს თარჯიმნად თავადი მელიტონ ბარათაშვილი ახლდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა. რუსეთში გრიგოლთან დარჩენის უფლება იმპერიამ არ დართო.

ნიკო ჯავახიშვილი წერს,



დავით ბატონიშვილი

რომ საქართველოს დატოვების შემდეგ, გრიგოლი ცხოვრობდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც ის ქართული კოლონიის წევრი გახდა. იგი ჩამოყალიბდა, როგორც მწერალი და მწიგნობარი, რომელიც მშობლიურთან ერთად ფლობდა: რუსულ, ფრანგულ, არაბულ, სპარსულ და სომხურ ენებს.

გარდაიცვალა 1830 წლის 22 სექტემბერს, 41 წლისა. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში. იქვეა დაკრძალული გრიგოლის მამაც - იოანე ბატონიშვილი.

თბა თოფურიბა, „რადიო თავისუფლება“



პრაპლე II



გიორგი XII



იოანე ბატონიშვილი



ალექსანდრე ბატონიშვილი

მომავალ წელს 90 წელი შეუსრულდება ქართული ცეკვის ლეგენდა ქველ ადამიანს — ომარ მხეიძეს. ის 1935 წლის 25 აპრილს დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვადაში. 88 წელი იცოცხლა, აქედან 75 წელზე მეტი ქართული კულტურას, ქართული ცეკვის ხელოვნებას ემსახურა. ომარ მხეიძე ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ეზიარა ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას გამორჩენილი პედაგოგისა და ქორეოგრაფის ანტონ ჩინლაძის ხელმძღვანელობით. ყველაფერი კი შემთხვევით დაიწყო. თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთის წრეზე დადიოდა. როგორც თვითონ იხსენებდა, საკმაოდ კარგი მცველიც ყოფილა და კარგ მთავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. ერთ დღეს უბნელი ბიჭი შეხვედრია ვარჯიშიდან მომავალს და უთხოვია, პიონერთა სასახლეში გაყოლოდა, სადაც ის ცეკვაზე დადიოდა. სარეპეტიციო დარბაზში ომარი სხვა ბიჭებთან ერთად მდგარა. ქორეოგრაფი რომ შემოსულა, დაუყენებია ბიჭები სარეპეტიციოდ და მეცადინეობა დაუწყო. ომარს მორიდებია იმის თქმა, რომ შემთხვევით იყო იქ და დარჩა. დარჩა და დარჩა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ქართულ საცეკვაო ხელოვნებას.



სულტანტი, საქართველოს სამეფო კლუბისა და ჩოხოსან რაინდთა წევრი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი. ყველა წოდებას ვერ ჩამოთვლი. ომარ მხეიძის შესახებ მისმა მეგობრებმა თქვეს: **ფრიდონ სულაბერიძე: — ომარ მხეიძე ანსამბლში შესანიშნავი და უძლიერესი მოცეკვავე იყო, ვეფხვი იყო, ვეფხვი! საოცარი პროფესიონალი და არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. გულით ემსახურა ქართულ ცეკვას... ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, რომ შეუდარებელი იყო. მოლხენა, ხალხთან ყოფნა, მათთან ურთიერთობა უყვარდა. მთელი საქართველო პატარს სცემდა და უყვარდათ. ასეთი უძლიერესი ადამიანი და უძლიერესი მოცეკვავე სუნიშვილებს, ვიტყვით, არ ჰყოლია...**
ინამუხე დოლაბერიძე: — 1960 წლიდან მე და ომარი ანსამბლში პარტიზორები ვიყავით, ერთად ვცეკვავდით... საოცარი მოცეკვავე იყო, შემართებით ცეკვავდა და ძალიან რაინდული განსაზღვრებით. 1961 წელს ხევსურთაში ვიყავით, მე და ომარმა ხევსურული ვიცეკვეთ და ის ცეკვა, მხსოვს, გადაიღეს. ამდენი წლის ცერე ის კადრები პირველად ახლა ვხედავ... ცერემონი მომერია, იცით როგორ აველდები?! ძალიან იმოქმედა. მხეიძე, ცოცხალი ადამიანი იყო... მუხისკის მხარს რომ გაიგებდა, წამოდგებოდა და წაიცეკვებდა ხოლმე. ნებისმიერ ცეკვაში, სცენაზე, საიმედო პარტნიორი გახლდათ და ცხოვრებაშიც საოცარი ადამიანი იყო. ნამდვილი ქართველი...
ოთარ ბლუაშვილი: — საუკუნის მოცეკვავე იყო და თავის სტილში შეუდარებელი, მთის ცეკვებში კიდევ განსაკუთრებული. ასე არავის უცეკვია და ვერც ვერავინ იცეკვებს. ის ხასიათი, რომელიც ომარ მხეიძეს ჰქონდა, ვერავისთვის დავიხანებ, იმდენად დიდი იყო. სცენაზე რომ იდგა, თითქოს მთა ცეკვავდა. შემოვარდებოდა, იმდენად ანთებული იყო, გვერდებზე, საომრად ველზე შედიოდა, სასწაულს ჩაიდენდა, სცენაზე ისე აღელვებული და აღტყინებული გადიოდა. მერე კულისებში ისევ გამოყოფილი ჰქონდა ის ემოცია და კარგა ხანს ვერ წყნარდებოდა. დიდი ქართველი, ქეშმარიტი ქართველი იყო, სიგულეტი უყვარდა საქართველო. რაც შეეძლო ერთ ადამიანს, ათ იმდენს აკეთებდა. ყველგან თავის სათქმელს ამბობდა, იცოდა თქმა — მინდებოდა ხელოვნებას, მინდებოდა ფოლკლორს!
 აი, ამ დიდი ქართველის დაბადების დღე აღინიშნა 25 აპრილს, პირველი დაბადების დღე მისი გარდაცვალების შემდეგ, პირველი დაბადების დღე ომარ მხეიძის გარეშე. არა, 25 აპრილს არ იყო ომარ მხეიძის იუბილე, იყო მხოლოდ და მხოლოდ პირველი დაბადების დღე მის გარეშე. არ ვიცი, ვინ და როგორ გაიხსენა ამ დღეს ქართული ცეკვის ლეგენდა. მისი ხსოვნის პირველი საღამო კი ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის (დირექტორი ზაზა მჭავანაძე) ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარდა სამების საკათედრო ტაძარში, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, ამავე ცენტრის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და მათხელშეწყობით, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ.

ომარ მხეიძის ხსოვნის საღამო

ლეგენდები არ კვდებიან...

30 წლის განმავლობაში (1954-1984) იყო საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის („სუნიშვილები“) მოცეკვავე, ანსამბლთან ერთად მოიარა მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა და სხვებთან ერთად შექმნა ქართული ცეკვის ისტორია, მსოფლიოს გააცნო ქართული გენის სიდიადე. ამ პროფესიონალი ადამიანის დედას დიდა ქართული კულტურის, ხელოვნების წინაშე — ეს უდავოა. ამიტომაც შეიყვარა ის ქართველმა ხალხმა, ამიტომაც მიჩნევენ მას ლეგენდად. ამიტომაც იყო, რომ ომარ მხეიძე საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითა კავშირში 2014 წელს „საუკუნის მოცეკვავედ“ დაასახელა, ხოლო ფონდმა „ქართული გალობა“ 2016 წელს ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის „ღვაწლმოსილი მოცეკვავის წოდება“ მიანიჭა.
 2011 წელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან მისი სახელობის გარსკვლავი გაიხსნა. ომარ მხეიძეს საკუთარი ანსამბლი არ ჰყოლია, მან არ ისურვა ქორეოგრაფობა, ის დარჩა მარადიულ მოცეკვავედ. მიუხედავად ამისა, საქართველოში მისი სახელს ატარებს ათეულობით სახავეო ქორეოგრაფიული ანსამბლი. ის იყო ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე. მიღებული ჰქონდა არაერთი წოდება, მათ შორის: „წლის ადამიანი“ (გაზეთი „რაეო“, 2005), „ქართული კულტურის ამბადარი“ (თბილისის მერია, 2009), „ქართული კულტურის რაინდი“ (საქართველოს მწერალთა საბავშვო ქორეოგრაფიის, 2013), საპატიო სიგელი „სახალხო სიყვარული“, როგორც ორი საუკუნის ქართული ცეკვის ლეგენდა (საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატი“, 2014), „ხელოვნების ქურუმი“ (საქართველოს კულტურის სამინისტრო, 2015). ის იყო მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საპატიო მოქალაქე, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, კინოკამბანია „ჯიმ შვანთეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, თბილისის სადღესასწაულო რიტუალების სახალხის დირექტორი (1984-1989), ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული კათედრის კონ-



ამ დიდი ქართველის დაბადების დღე აღინიშნა 25 აპრილს, პირველი დაბადების დღე მისი გარდაცვალების შემდეგ, პირველი დაბადების დღე ომარ მხეიძის გარეშე. არა, 25 აპრილს არ იყო ომარ მხეიძის იუბილე, იყო მხოლოდ და მხოლოდ პირველი დაბადების დღე მის გარეშე

ვებდა ხოლმე. ნებისმიერ ცეკვაში, სცენაზე, საიმედო პარტნიორი გახლდათ და ცხოვრებაშიც საოცარი ადამიანი იყო. ნამდვილი ქართველი...
ოთარ ბლუაშვილი: — საუკუნის მოცეკვავე იყო და თავის სტილში შეუდარებელი, მთის ცეკვებში კიდევ განსაკუთრებული. ასე არავის უცეკვია და ვერც ვერავინ იცეკვებს. ის ხასიათი, რომელიც ომარ მხეიძეს ჰქონდა, ვერავისთვის დავიხანებ, იმდენად დიდი იყო. სცენაზე რომ იდგა, თითქოს მთა ცეკვავდა. შემოვარდებოდა, იმდენად ანთებული იყო, გვერდებზე, საომრად ველზე შედიოდა, სასწაულს ჩაიდენდა, სცენაზე ისე აღელვებული და აღტყინებული გადიოდა. მერე კულისებში ისევ გამოყოფილი ჰქონდა ის ემოცია და კარგა ხანს ვერ წყნარდებოდა. დიდი ქართველი, ქეშმარიტი ქართველი იყო, სიგულეტი უყვარდა საქართველო. რაც შეეძლო ერთ ადამიანს, ათ იმდენს აკეთებდა. ყველგან თავის სათქმელს ამბობდა, იცოდა თქმა — მინდებოდა ხელოვნებას, მინდებოდა ფოლკლორს!
 აი, ამ დიდი ქართველის დაბადების დღე აღინიშნა 25 აპრილს, პირველი დაბადების დღე მისი გარდაცვალების შემდეგ, პირველი დაბადების დღე ომარ მხეიძის გარეშე. არა, 25 აპრილს არ იყო ომარ მხეიძის იუბილე, იყო მხოლოდ და მხოლოდ პირველი დაბადების დღე მის გარეშე. არ ვიცი, ვინ და როგორ გაიხსენა ამ დღეს ქართული ცეკვის ლეგენდა. მისი ხსოვნის პირველი საღამო კი ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის (დირექტორი ზაზა მჭავანაძე) ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარდა სამების საკათედრო ტაძარში, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, ამავე ცენტრის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და მათხელშეწყობით, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ.
 ტაძარში შეიკრიბნენ ომარ მხეიძის მეგობრები, კოლეგები, მწერლები, სპორტსმენები, ახლობლები, ოჯახის წევრები. ხსოვნის საღამოს უძღვებოდნენ გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ მთავარი რედაქტორი მანანა უშიციშვილი (ის ამავე დროს იყო საღამოს სცენარის ავტორი) და ქართული ქორეოგრაფიის ცენტრის საპატიო თავმჯდომარე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორ-ემერიტუსი **რეზა ჯანიშვილი**.
 ეკრანზე უჩვენებდნენ ომარ მხეიძის მიერ შესრულებულ ცეკვებს. საღამოზე ომარ მხეიძეზე ისაუბრეს მისმა მეგობრებმა: დიმიტრი (დიმა) მოსულიშვილი, ზაურ პაპიაშვილი, ერეკლე საღლიანა, ნიკო ბატრაქალიშვილი, დავით შემოქმედელმა, ენრიკო ჯანელიძემ, გოგი მარღანიამ, ვანო შვანიამ, ზაზა მჭავანაძემ და სხვებმა. ლეგენდარული მოცეკვავის შეიღმა ლაშა მხეიძემ მადლობა გადაუხადა ქართული ქორეოგრაფიის ცენტრს და ტაძარში შეკრებილ ადამიანებს. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს გოგონათა ანსამბლი „გუმბათი“ (ხელმძღვანელები სოფია ქირია და სოსო კიკვაძე).
 მოგხსენებთ, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა დააწესა ომარ მხეიძის სახელობის პრემია, რომლის პირველი ლაურეატიც გახდა ცნობილი მოცეკვავე და ვეტერანი ქორეოგრაფი რუსთაველიან გოგი მარღანიანი. ლეგენდარული მოცეკვავის ხსოვნის საღამოს მისი სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა ავთანდილ ზუბინიძე — CHUBLNA.GE-ის დამაარსებელი და ადმინისტრატორი (საიტი უანგაროდ ემსახურება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაციას), ქორეოგრაფიული ხელოვნების დირექტორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

ამირან ბუთურიშვილი



განცხადება

სსიპ რაფიელ ღვალის მანქანათა
მექანიკის ინსტიტუტი ახსნადას ღია
კონკურსს შემდეგი სამუშაო
თანამდებობების დასაკავებლად:

1.	თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.
2.	მანქანათა დინამიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.

კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა)	განცხადება;
ბ)	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ)	ავტობიოგრაფია (CV);
დ)	დოქტორის (მაგისტრის), ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე)	გამოკვეთილი სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ)	ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ)	სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ)	სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი)	პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები;
კ)	შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
	საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ ღვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ. N10.
	საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 03 ივნისი.
	დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ – ნინო დიდიშვილს ტ.: 599 141 468, 2 329017

განცხადება

მიმდინარე, 2024 წლის 17 ივნისს ჩატარდება „ადამიანის დარღვეული უფლებების აღმდგენი პოლიტიკური პარტიის“ სადამფუძნებლო ყრილობა.

დღეგაბატების რეგისტრაცია 11:00 საათიდან 12:00 საათამდე. ყრილობის დასაწყისი 12:00 სთ-ზე. ყრილობა ჩატარდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თეატრი-სტუდიის „მოდინა“-ს მაყურებელთა დარბაზში. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N69 ს.ტ.უ. მეორე კორპუსი, მე-3 სართული.

ყრილობის მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფის სახელით, **პოლონ გოდუნიძე**, სამართლის აკადემიკოსი ტელ: 577 469353

განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგომის“ მიერ ქ. ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგომის მსაჯავრებელი პირობების ცვლილება
გადაწყვეტილების მიმდებარე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ ბარემოს-დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 23 მაისი, 15:30 საათი, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის N12)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ ბარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 29 მაისის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ ბარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ ბარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ieic.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 23 აპრილი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

გზუ ანგარიშის საჯარო განხილვა -
ბარდვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაჩიანში შპს „ცენტრა თბილისის ტერიტორიის“ 1000 მ3 ან მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავებისა და ბიტუმის საწარმოს მშენებლობა და მსაჯავრებელი პირობების ცვლილება
გადაწყვეტილების მიმდებარე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ ბარემოს-დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზუ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 12 ივნისი, 13:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ადთაკლის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ ბარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 3 ივნისის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ ბარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ ბარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ieic.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 25 აპრილი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

გზუ ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ქ. ყვარლის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამონახვე წყლის გაწმენდი ნაგებობის მსაჯავრებელი პირობების ცვლილება
გადაწყვეტილების მიმდებარე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ ბარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზუ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 14 ივნისი, 14:00 საათი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ ბარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 3 ივნისის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ ბარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ ბარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ieic.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 25 აპრილი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

გილოსავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა!

5 მაისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.



ანგელოზი ღაღაღებს. მიამალებულ წმინდას. გიხაროდენ და კვლად გიხაროდენ. ამ უნდო აღსაღმა მისამაღსა დღესა საფლავით და მკვდარი აღაღდგინა. პრხო გიხაროდენ!

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა და მთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი! ამინ!

ბრწყინვალე უპიღეული ბრძოლა

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული გრძელდება კვირაცხოვლობის ჩათვლით... (6 მაისიდან 12 მაისის ჩათვლით).

მთელი კვირის განმავლობაში ვადიდებთ მკვდრეთით აღმდგარ უფალს. ტრადიციულად ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს დიდუბობას ვხეივობთ. ორშაბათსვე საფლავთა კურთხევა.

ბრწყინვალე შვიდეულს, კერძოდ სამშაბათს ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულია, ამ დღესვე ვდღესასწაულობთ 6000 გარეჯელ მონაწილეს.

შვიდეულის ორშაბათს სინას წმინდა მთაზე მოსაგრე მამათა ხსენება. ხოლო ხუთშაბათს გრიგოლ სინელის ხსენების დღე.


ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „წყარო ცხოვრებისას“ დღესასწაულია... ტაძარი, რომელიც წყაროზეა აგებული, ბრწყინვალეობითა და სილამაზით გამოირჩევა!

შაბათს თბილისში სიონში თავად გივი ამილახვრის სულის საოხი უამი შეინიშნის. წირვის შემდეგ კი არტოსის განტეხვა და დარიცხვა, ის უკვე მდღესასწაულია.

საგულისხმოა, რომ მორწმუნე მრევლი აღდგომიდან ამალღებამდე ერთმანეთს ახარებენ:

ქრისტე აღსდგა!
ჯჲშინითად აღსდგა!

P. S. ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს ემთხვევა დიდმონაწილე გიორგის, ქართველთა მფარველი წმინდანის ხსენების დღეს!
გიორგობას გილოცავთ სრულიად საქართველოს!



გამოსა ვიქტორ რეხილაძის ორი ნაშრომი – „უიშელოვა“ და დიტრის ფონ ჰილდებრანდის თხზულების თარგმანი – „სიყვარული და ზნეობრივი საშიშროებები“.

„ოტელო“ – ნიჭიერების საჯილდაო ქვა

თბილისის 8. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის უკვდავი ოპერის „ოტელო“ პრემიერა.

მთავარ პარტიებს ასრულებდნენ მონვეული და ადგილობრივი ოპერის სოლისტები.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილე მონვეულმა და ადგილობრივმა სოლისტებმა, უ. შექსპირის თითოეულმა პერსონაჟმა ბრწყინვალედ გაართვა თავი საკუთარ როლს და ღირსეულად ასწია საჯილდაო ქვა, როგორც თავისი დიდი ნიჭიერების დასტური.

როგორც ყოველთვის, მთელ სპექტაკლს, მონტე-კარლოს ოპერის თეატრის პროდუქციას, დიდ ხიმბლს მატებდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი. დამდგმელი



დირიჟორია ბრწყინვალე მესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორი – ალექს აბილერა, სპექტაკლის წამყვანი – რეჟისორი მარინა ბურჭულაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი – ბადრი მაისურაძე.

სპექტაკლმა მაყურებლის ერთსულოვანი მონივნება დაიმსახურა.

ნანა ჭიჭინაძე

ანკლავში დაღუპულთა შორის 14 500-ზე მეტი ბავშვი და 9 500 ქალი

ღაზის სექტორში გასული დღის განმავლობაში ისრაელის სამხედრო ოპერაციას 47 ადამიანი ემსხვერპლა, 61 კი დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას ღაზის სექტორის ჯანდაცვის სამსახური ავრცელებს.

უწყებაში აცხადებენ, რომ 2023 წლის 7 ოქტომბერს ისრაელის შეჭრის შემდეგ, არაბულ ანკლავში 34 535 ადამიანი დაიღუპა, 77 704 კი დაშავდა. 8 000 ადამიანი კვლავ დაკარგულად მიიჩნევა.

ღაზის სექტორში აცხადებენ, რომ დაღუპულთა შორის 14 500-ზე მეტი ბავშვი და 9 500 ქალია.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰს განცხადებით, სამშვიდობო მოლაპარაკებების მიუხედავად, ღაზის სექტორის ქალაქ რაფაჰში სახმელეთო ოპერაცია მაინც ჩატარდება. „იდეა, რომ ომს ყველა მიზნის მიღწევამდე შევაჩერებთ, არ არის ვარიანტი. იქნება თუ არა შეთანხმება, ჩვენ შევალთ რაფაჰში და გავანადგურებთ „ჰამასის პატალიონებს, რათა მივადინოთ სრულ გამარჯვებას“, – განაცხადა ბენიამინ ნეთანიაჰმა.

ფილოსოფოსის ახალი ნიბნები

განხილულია ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ ასპექტში. ამით აიხსნება, რომ ნაშრომის თავფურცელს ამშვენებს დიდი შვეიცარიელი მხატვრის, არნოლდ ბიოკლინის „ავტოპორტრეტი ვიოლინზე დამკვრელ სიკვდილთან ერთად“.

მეორე ნაშრომი, გარდა დიტრის ფონ ჰილდებრანდის თარგმანისა, შეიცავს ვიქტორ რეხილაძის ორიგინალურ წერილებს ქართულ ლიტერატურაზე, რომლებიც გამოირჩევიან სულ ახალი ხედვით და ჩვენთვის ჩვეული ავტორების და მათი გმირების განსაკუთრებული წვდომით.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS
REPUBLIKA
ანერეთლის №116 (მუშაობს)

მთავარი რედაქტორი
საპრეტაქტოპულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა ვაშაქიძე
597-22-07-04

შემომცემლობითი
ჯგუფი:

ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტუბაშვილი
თემურ ძორიძე

სტილისტ-
კორექტორები:

ნაირა კეკელია,
მაია იორაბაშვილი,
ოპარატორი
შორანა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17

rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

გამომცემელი:

შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იზაქაბა სტამბა
„კოლორი“
თ. ზაღდაძის №3

კოლორი
ჯგუფი

UAC(უპაქ)070.4(479.22)
C-323



ავტორთა
საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ
შეუპყვითავი მასალაზე
დაიკავდება
ავტორთა ხარჯით.

გაზეთის
მომღებო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
8 მაისს

საქართველოს რესპუბლიკის
საგარეო ურთიერთობების
სააგენტოს
საგარეო ურთიერთობების
სააგენტოს
საგარეო ურთიერთობების
სააგენტოს

აქციონერი 2 მაისისთვის
აქციონერის სააგენტოს
პირი - ღაზი +10, ღაზი +27
პირი - ღაზი +7, ღაზი +24
აქციონერის სააგენტოს
პირი - ღაზი +10, ღაზი +22
პირი - ღაზი +10, ღაზი +23
თბილისი: ღაზი +15, ღაზი +26

დაგვიკავით, მოგვწერით:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge